მე-3 სართული, ოთახი 5 და 6
ტელ: (995-32) 2 39-33-96; ფაქსი/ტელ. (995-32) 2 39-33-97
E-mail: 24001423@gg.cm

3th flor, rooms 5 and 6
home: (995-32) 2 39-33-96; fax/phone: (995-32) 2 39-33-97
E-mail: 24001423@gg.cm

№ GSPI-1/02 "21" თებერვალი 2019წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „ჯორჯია შენკე ფაუერ ინვესტმენტ"-ი (GSPI) ქედის მუნიციპალიტეტში მდ. აკავრეთასა და მდ. ლოდნარზე გეგმავს 23 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (აკავრეთა ჰესი) მშენებლობას და ექსპლუატაციას. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მოთხოვნათა შესაბამისად, მ/წ 3 იანვარს წარმოგიდგინეთ სკოპინგის ანგარიში.

აღნიშნული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, თქვენს მიერ ორგანიზებულ იქნა სკოპინგის საჯარო განხილვა, რომელიც გაიმართა მ/წ 22 იანვარს, ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. გუნდაურის დაწყებითი სკოლის შენობის მიმდებარედ. აღნიშნულ განხილვაზე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დაისვა რამოდენიმე საკითხი, რომელთა გადაჭრის გარეშე ისინი ჰესის პროექტის განხორციელების წინააღმდეგნი არიან. საკითხი ეხება, როგორც გარემოსდაცვით, ისე სოციალურ თემას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კომპანია გეგმავს ადგილობრივებთან შეხვედრას და მათ მიერ დასმული საკითხების სიღრმისეულ განხილვას, რომლის შემდგომაც მიღწეული იქნება კონკრეტული შეთანხმებები, რომლის შესახებაც ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება სამინისტროში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ მოსახლეობასთან მიღწეული შეთანხმებების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენამდე, გთხოვთ შეაჩეროთ სკოპინგის დასკვნის გაცემის პროცედურა.

პატივისცემით,

მინდობილი პირი ................................... /შამილ ბირკაძე/

(შპს „ჯორჯიან შენკე ფაუერ ინვესტმენტ"-ის გენერალური დირექტორის ჩაი ვუბოს როგორც წარმომადგენელი მინდობილობის #180458735 საფუძველზე, ასევე ამავე კომპანიის 10%-იანი წილის მფლობელი)

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 2720
"21" 02 2019
1 ფ.
02